ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4313872

ნომერი: AR1650506

თარიღი : 16.12.2018

გაცემის თარიღი : 21.12.2018

გაცნობის თარიღი : 24.12.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ლისის ტბის მიმდებარედ , (ნაკვეთი 09/097);

დამკვეთი-განმცხადებელი

- ბადრი ანდრიაძე პ/ნ 01029002550
- თბილისი პეკინის გამზ. N 3 ბ. 9ა

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ახალი მშენებლობა
- პროექტის შეთანხმება

.მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობების (გაპი) რეკვიზიტები.:

- .დადგენილი გაპის ბრძანების ნომერი.: 01/2773
- .დადგენილი გაპის ბრძანების თარიღი.: 9.04.2011

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ზურაბ დოლენჯაშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. ეკობინა
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405171255

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ბადრი ანდრიაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01629002550

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 481.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 247.2
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 826.9
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 423.2
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 69.9
- .კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (კვ.მ).: 109.8
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 224.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 3750.0
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 2640.0
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 1110.0
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 15.1
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 11.7
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 3.4
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 234.1/481=0,5
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 644.9/481=1,4
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 139.1/481=0,3

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ შემდეგს:

1.არსებული სიტუაციის ფოტოსურათები. -> .ფოტოსურათების pdf ფაილი.: -წარმოადგინეთ არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათები და თარიღები დააფიქსირეთ.

2. საჭიროა პროექტი მოიყვანოთ შეთანხმებულ გრგ-სთან შესაბამისობაში სართულიანობის მხრივ, კერძოდ: „სართულიანობის ათვლა უნდა მოხდეს შენობის იმ მხრიდან სადაც არის რელიეფის შედარებით დაბალი ნიშნული.“ აღნიშნული კონკრეტული ჩანაწერი ეხება ყველა სართულს მიუხედავად იმისა ის არის თუ არა რელიეფში იმდენად შეჭრილი, რომ ჩაითვალოს მიწისქვეშა სართულად. შესაბამისად წარმოდგენილი პროექტის მიხედვით დგინდება, რომ სცდებით გრგ-თი გათვალისწინებულ 3 სართულიან შეზღუდვას.

3.საჭიროების შემთხვევაში საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით :

საქართველოს მთავრობის 2018 წლის 13 აგვისტოს №413 დადგენილებით შევიდა ცვლილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში და მოქმედი რედაქციის 47-ე მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისას, პროექტის შემადგენელ ერთ-ერთ სავალდებულო დოკუმენტს წარმოადგენს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა საპროექტო ტერიტორიის სატრანსპორტო/საგზაო ინფრასტრუქტურის დატანით საკვლევ ტერიტორიასთან კავშირის ჩვენებით.

ამ ეტაპზე სამსახური დეტალურად ვერ განიხილავს წარმოდგენილ პროექტს სანამ არ მოხდება გრგ-სთან შესაბამისობაში მოყვანა.

გაითვალისწინეთ, იმ შემთხვევაში თუ თქვენი მხრიდან არ მოხდება სამსახურის მიერ დადგენილი ხარვეზების სრულყოფილად გამოსწორება და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილი სახით წარმოდგენა, აღნიშნული განაცხადი დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.